თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 25 აგვისტო 2011 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	–ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ.ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.
ანდრო მაღლაკელიძე	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი,
ცისმარდი მაღლაფერიძე	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის მდივანი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქ. ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შიდა სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების, საკვალიფიკაციო მონაცემების და საკონკურსო დოკუმენტაციის (ქ. ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შიდა სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ დავით ანდღულაძემ.
კომისიის წევრებმა: ნოდარ მიქიაშვილმა, ვასილ მებურიშვილა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ქ. ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის შიდა სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.
2. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2011 წლის 30 აგვისტოს 12:00 საათამდე პერიოდი.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

4. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: დავით ანდღულაძე

კომისიის წევრები:

ნოდარ მიქიაშვილი

ანდრო მაღლაკელიძე

კომისიის მდივანი:

ცისმარდი მაღლაფერიძე